ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2023 წლის 13 თებერვლიდან 2030 წლის 13 თებერვლამდე)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ შესახებ

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდგომში – „გალობის უნივერსიტეტი“) ისტორია იწყება 2006 წლიდან, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის კურთხევითა და მეცენატ ივანე ჩხარტიშვილის თანადგომით თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან დაფუძნდა სასწავლებელი, რომელიც ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების აღზრდაზე იქნებოდა სპეციალიზებული.

2011 წლის 29 დეკემბერს სასწავლებელი დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა საფირმო სახელწოდებით – ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“.

2012 წლის 13 მარტს კი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – ა(ა)იპ „მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს“.

2014 წელს, შიდა სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად გალობის უნივერსიტეტმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. 2014 წლის 25 დეკემბერსა და 2021 წლის 12 ივლისს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ინსტიტუციას მიენიჭა ავტორიზაცია. კურსდამთავრებულთა 85% მიღებული კვალიფიკაციითაა დასაქმებული, რაც დიდწილად გალობის უნივერსიტეტისა და ფონდ „ქართული გალობის“ წარმატებული თანამშრომლობის შედეგია. ახალ ეტაპზე გადავიდა სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა.

გალობის უნივერსიტეტის ავტორიტეტი და იმიჯი, როგორც აკადემიურ სივრცეში, ასევე ზოგადად საზოგადოებაში, დღითიდღე იზრდება.

2020 წლის 14 მაისის საქართველოს მთავრობის No.816 განკარგულებით, გალობის უნივერსიტეტს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქ.თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა No.49 -ში მდებარე უძრავი ქონება (შენობა – ნაგებობა No.1-ის პირველ და მეორე სართულებზე არსებული საერთო ფართი 1800 კვ.მ.). 2024 წლის ბოლოს იგეგმება აღნიშნულ მისამართზე თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ შენობაში გალობის უნივერსიტეტის გადასვლა.

2023 წლიდან გალობის უნივერსიტეტი გეგმავს გააფართოოს თავისი წარმატებული საქმიანობა, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსი კი მოიცავს საქმიანობის განსხვავებულ მარეგულირებელ წესებსა და შეზღუდვებს. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლის მიერ იგეგმება ინსტიტუციის, კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შეცვლა და გარდაქმნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე გალობის უნივერსიტეტი განახორციელებს ახალ უმაღლეს საგანმანათლებლო და მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს, აქტიურად ჩაერთვება საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებსა და საერთაშორისო კვლევებში.

პროცესის აღწერა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად ინსტიტუციის პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და ექსპერტების თანამონაწილეობით შეიქმნა გალობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით, გალობის უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 26 ივლისის No.ო/24 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, სტრატეგიული დაგეგმარების შესახებ არსებული ტენდენციები, გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა.

გალობის უნივერსიტეტში არსებული ვითარების ანალიზის და შემდგომი განვითარების საჭიროების დადგენისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო ჯგუფი შეხვდა დამფუძნებლის, მმართველობითი რგოლის, ფაკულტეტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლებისა და ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლებს. შეიქმნა სამიზნე ჯგუფები, ჩატარდა კომპლექსური სამუშაო, მათ შორის საინფორმაციო, მოკვლევითი შეხვედრები და სიღრმისეული ინტერვიუები.

სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობების, მიღებული ინფორმაციის დამუშავებით, შეჯამებითა და ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა გალობის უნივერსიტეტის ახალი 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტი გაზიარებული და განხილული იქნა შიდასაუნივერსიტეტო და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მიღებული უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო რედაქცია.

მისია

გალობის უნივერსიტეტის მისიაა:

სამოქალაქო საზოგადოებაში ეროვნული ღირებულებების დანერგვა-განმტკიცებისათვის მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციული ხელოვნების დაცვა და განვითარება.

ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერი საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, მსოფლიო მასშტაბით ქართული უნიკალური ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია და საერთაშორისო სახელოვნებო სფეროებში მისი ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების საზოგადოებისათვის შეთავაზება და უზრუნველყოფა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებების სფეროებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, როგორც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

ხედვა

გალობის უნივერსიტეტის ხედვაა გამართული და უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით, აკრედიტებული უმაღლესი განათლების, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან თავსებადი აკადემიური პროგრამებითა და საჭირო აკადემიური/სამეცნიერო/მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით ტრადიციული ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებების სფეროებში მოამზადოს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებითა და ინტერნაციონალიზაციით აქტიურად იყოს ჩაბმული ქართული კულტურისა და ხელოვნების დამკვიდრებისა და განვითარების პროცესში. საერთაშორისო მასშტაბით იყოს ერთ-ერთი მოწინავე განათლების კერა და ჰქონდეს შეუქცევადად მზარდი ადგილობრივი და საერთაშორისო რეპუტაცია.

გალობის უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები

გალობის უნივერსიტეტი აღვსილია რა მოვალეობითა და პასუხისმგებლობით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, რაც აისახება მართვის ყველა დონეზე ინსტიტუციის თითოეული წევრის საქმიანობასა და უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესზე, ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

გუნდურობა – გალობის უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ სრულად გაიაზროს და საერთო ძალისხმევით განახორციელოს მისიით დასახული მიზნები.

ხარისხზე ორიენტირება – გალობის უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლებისა და კვლევების, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.

მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულობა – გალობის უნივერსიტეტი საკუთარი საქმიანობის სრულყოფისკენ სწრაფვით ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოებას, როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებაში.

აკადემიური კულტურა – გალობის უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია კოლეგიალური გარემო ეფუძნებოდეს აკადემიური ეთიკის, კეთილსინდისიერების პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.

აკადემიური თავისუფლება – გალობის უნივერსიტეტისათვის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული გარემო, სადაც აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები თავისუფალი არიან ცოდნის შექმნასა, ცოდნის გადაცემასა და სწავლის პროცესში.

აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება – გალობის უნივერსიტეტი აყალიბებს მაღალ სტანდარტს პიროვნული თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპების დაცვისათვის.

სოციალური პასუხისმგებლობა – საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტიური ჩართულობით გალობის უნივერსიტეტს განსაკუთრებული წვლილი შეაქვს საზოგადოების კულტურულ განვითარებაში.

არსებული ვითარება და გამოწვევები:

1. გამოწვევები;
2. გარემოს ანალიზი;
3. SWOT ანალიზი:
   - ძლიერი მხარეები;
   - გასაუმჯობესებელი მხარეები;
   - შესაძლებლობები;
   - საფრთხეები.

1. გამოწვევები

გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებამ, ტექნოლოგიების განვითარებამ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროს მიმართ ინტერესის გაძლიერებამ, ახალგაზრდებში, ხელოვნებისა (კერძოდ, ქართული ტრადიციული ხელოვნების) და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართ ინტერესი შეასუსტა.

ქართული ტრადიციული სამუსიკო ხელოვნებისადმი ახალგაზრდების დაინტერესების დაბალ მაჩვენებელს დარგის სპეციფიკაც განაპირობებს, კერძოდ, სხვა დარგებისგან განსხვავებით, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს მუსიკალური ნიჭი და სფეროს შესასწავლად და თავის დასამკვიდრებლად საჭირო დროის ხანგრძლივობა.

ამის გარდა, გასათვალისწინებელია სფეროს პერსპექტივა სპეციალისტის ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით, კერძოდ, დასაქმების მიუხედავად ფინანსური ანაზღაურების ნიხრი არის დაბალი. თუმცა, გლობალიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება ჩვენი სფეროს განვითარებისთვის დიდ პოტენციალსაც მოიცავს, რაც ძირითადად ინტერნაციონალიზაციისა და ციფრული ეპოქის შესაძლებლობებს უკავშირდება.

2. გარემოს ანალიზი

ბოლო წლების განმავლობაში გალობის უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა ინსტიტუციის მართვის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების კუთხით, კერძოდ, გააღრმავა პარტნიორული ურთიერთობები ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებსა და კვლევით ინსტიტუტებთან, ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია – დაწესებულებებთან.

რესურსები გამოიყო ისეთი საქმიანობის გაძლიერებისათვის, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და სამეცნიერო-კვლევითი და საშემსრულებლო პროექტების განხორციელების პროცესზე.

აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით გალობის უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს მნიშვნელოვან საინფორმაციო კამპანიებს და თანამშრომლობს რიგ ინსტიტუციებთან, მათ შორის, მედიასაშუალებებთან, ზოგადსაგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებთან და სახელმწიფო ორგანოებთან.

2023 წლიდან გალობის უნივერსიტეტი გეგმავს გააფართოოს თავისი წარმატებული საქმიანობა. მოხდება არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, გაიზრდება პრაქტიკის როლი და მნიშვნელობა, შემუშავდება და დამტკიცდება ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. გარდა ამისა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, უწყვეტი განათლების განსავითარებლად შეიქმნება მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები.

გალობის უნივერსიტეტს 2020 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით არსებობის ვადით სარგებლობაში გადაეცა ახალი უძრავი ქონება და განხორციელდა მასშტაბური ინვესტიცია სადემონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ახალ შენობაში უნივერსიტეტის გადასვლა დაგეგმილია 2024 წელს.

გალობის უნივერსიტეტი, როგორც პასუხისმგებლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აცნობიერებს რა საკუთარ როლს კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნულ-ქრისტიანული ღირებულებების დაცვის საქმეში, არ იშურებს ძალისხმევას, რათა მისი საქმიანობა მუდმივად განვითარებაზე იყოს ორიენტირებული.

3. SWOT ანალიზი

სამუშაო ჯგუფმა გალობის უნივერსიტეტის ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დეტალური ანალიზის განსახორციელებლად გამოიყენა SWOT ანალიზის ტექნიკა.

SWOT ანალიზის შედეგად მოხდა საუნივერსიტეტო საქმიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი. ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა;
2. კითხვარის შექმნა;
3. გამოკითხვის ჩატარება;
4. შედეგების ანალიზი.

SWOT ანალიზი ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში.

SWOT ანალიზის კვალიფიციურად წარმართვისათვის შევქმენით ხუთი სამიზნე ჯგუფი:

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

2. სტუდენტები და კურსდამთავრებულები;

3. მაღალი დონის მენეჯმენტი;

4. ადმინისტრაციული პერსონალი;

5. დამსაქმებლები.

ხუთივე ჯგუფთან ჩატარდა კომპლექსური სამუშაო, მათ შორის, საინფორმაციო და მოკვლევითი შეხვედრები და სიღრმისეული ინტერვიუები. ანალიზის პროცესში, ინსტიტუციური იერსახისა და ავტორიტეტის ობიექტურად შეფასების მიზნით, მოვიწვიეთ გარე აკადემიური და საექსპერტო საზოგადოება. მიღებული ინფორმაციის დამუშავებითა და შეჯამებით ჩამოვაყალიბეთ კვლევითი დასკვნები.

შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგად გამოვლინდა გალობის უნივერსიტეტის ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შემდეგი სურათი:

ძლიერი მხარეები:

- მაღალი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი, შემოქმედებითი და საშემსრულებლო პოტენციალი და ეფექტიანობა;
- განხორციელებული მრავალფეროვანი და წარმატებული პროექტები;
- განვითარებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული გუნდი;

- კურიკულუმის გარე აქტივობები (სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, პროექტები, საშემსრულებლო/შემოქმედებითი ღონისძიებები, სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა);
- სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება და სტიპენდიების მრავალფეროვნება;
- კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- საიმედო და ძლიერი დონორი ორგანიზაციის (ფონდი „ქართული გალობა”) მხარდაჭერა;
- საქართველოში ძლიერი და ავტორიტეტული ქართული ტრადიციული სამუსიკო ხელოვნების სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური კერა.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ნაკლებეფექტიანობა;
- სასერტიფიკატო კურსების არარსებობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასა და განვითარებაში სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის დაბალი ხარისხი;
- კვლევითი საქმიანობის ადმინისტრირების არასისტემურობა;
- პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება;
- ორგანიზაციული მართვის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება;
- საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების საჭიროება;
- რიგი ადმინისტრაციული პერსონალისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კომპეტენციების განვითარების საჭიროება;
- სტუდენტური თვითმმართველობისა არქონა და სტუდენტების ინსტიტუციის მართვაში ჩართულობის დაბალი ხარისხი;
- მოძველებული ინფრასტრუქტურა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ნაკლებადაპტირებული გარემო;

- საბიბლიოთეკო სივრცეებისა და სერვისების გაუმჯობესების საჭიროება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო-სამეცნიერო ბაზებზე წვდომის ნაკლებობა;
- საერთაშორისო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების სიმცირე;
- უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად განხორციელებული კვლევების დაბალი მაჩვენებელი;
- კვლევების დაფინანსების მოსაპოვებლად საერთაშორისო ფონდებთან არასაკმარისი თანამშრომლობა;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების საჭიროება;

- დაწესებულების მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესება;
- საერთაშორისო დონეზე არასაკმარისი ცნობადობა.

შესაძლებლობები:

- ხარისხის უზრუნველყოფის ახალი შიდა მექანიზმების იმპლემენტაციისა და უმაღლესი განათლების ხარისხის გარე მექანიზმის გამოყენების გზით განვითარების შესაძლებლობა;
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, ახალი პროგრამების შექმნისა და იმპლემენტაციის შესაძლებლობა;
- კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი ძლიერი მექანიზმების შექმნის შესაძლებლობა;
- აკადემიური კეთილსინდისიერების ხარისხის განვითარების შესაძლებლობა;
- უწყვეტი განათლების განვითარების შესაძლებლობა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შენარჩუნებისა და გაზრდის მიმართულებით;
- ხარისხის კულტურის განვითარების შესაძლებლობა;
- ადმინისტრაციული პერსონალის გაძლიერება ახალი კადრების მოზიდვისა და არსებულის განვითარების გზით;
- დაინტერესებული მხარეების ჩართვის გზით მართვის პროცესების ეფექტიანობის ზრდა;
- სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და ეფექტიანი გარემოს შექმნის მატერიალური პოტენციალი;
- ადამიანური რესურსის პოტენციალი, ტრენინგებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის არსებობა;
- ტრადიციული მუსიკალური ხელოვნების მიმართ საერთაშორისო სამეცნიერო და შემოქმედებით სივრცეში მზარდი ინტერესი;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერება;
- ცნობადობისა და საერთაშორისო აღიარების ზრდა;
- ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის განვითარება.

საფრთხეები:

- მაღალი რისკის მქონე საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება;
- შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური რყევები;
- ქართული მრავალხმიანობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არაჯეროვანი ყურადღება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან;

- საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ტრადიციული სამუსიკო ხელოვნებისადმი ინტერესის კლება.

სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

სტრატეგიული მიზანი 1

ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის განვითარება

გალობის უნივერსიტეტი, მისიიდან გამომდინარე, თავის აკადემიურ დანიშნულებად მიიჩნევს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ზრდას. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც აკადემიური პერსონალის აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ ავტონომიურობას, ისე დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობას.

გალობის უნივერსიტეტის უმთავრესი მიზანია უზრუნველყოს სტუდენტები შესაბამის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებით და საშუალება მისცეს საზოგადოებას უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება გამოიყენოს პროფესიული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის უწყვეტი განათლების მეშვეობით.

SWOT ანალიზმა დაგვანახა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები კიდევ უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, ბაზრისა და ტენდენციების შესაძლებლობებს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარებისა და სრულყოფის შეუქცევადი პროცესი.

ქრისტიანული ღირებულებების დაცვისა და განმტკიცების საქმეში უნივერსიტეტის წვლილის შესატანად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

მიუხედავად იმისა, რომ გალობის უნივერსიტეტი ამ ეტაპზე არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამას (სამომავლოდ იგეგმება სადოქტორო პროგრამის შემუშავება) და არ წარმოადგენს კვლევით ინსტიტუციას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. სამეცნიერო აქტივობების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ბოლო წლებში უნივერსიტეტმა გასწია მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიმუშავა სამეცნიერო-კვლევითი/მეთოდური/შემოქმედებითი საქმიანობის წესი და პროცედურები; ბიუჯეტში გაზარდა კვლევების დაფინანსება.

გალობის უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით განსაზღვრავს კვლევით პრიორიტეტებს, ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას (ფინანსურ-

ადმინისტრაციულად) და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიული ამოცანების განხორციელებით:

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ამოცანა 1. უსდ-ის ავტორიზაციის (სამუშაო ჯგუფების შექმნა, ფუნქციების დელეგირება, ამოცანის გადასაჭრელი სტრატეგიის დაგეგმარება და სამოქმედო გეგმის შემუშავება) პროცესის განხორციელება	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება.	√						√	√
ამოცანა 2. პროგრამების განვითარება, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოყვანა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება	საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებები; განახლებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამები; ფაკულტეტის საბჭოსა და რექტორის შესაბამისი ოქმი/ბრძანება;	√	√	√	√	√	√	√	√
	პრაქტიკული კომპონენტის გასაუმჯობესებლად დადებული მემორანდუმები.								
ამოცანა 3. პროგრამული აკრედიტაციის პროცესის განხორციელება	აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები.	√	√						√

ამოცანა 4. სწავლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და ხარისხის კულტურის ამაღლება	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; სწავლის შედეგების შეფასება.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 5. სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი ადმინისტრირება	კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტები და შეფასების სისტემა; სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 6. პლაგიატის ფაქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მექანიზმების დანერგვა	ანტიპლაგიატის სისტემის შეძენის ხელშეკრულება; პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილებისა და რეაგირების წესი; პლაგიატზე შემოწმებულ ნაშრომთა რაოდენობა.	√	√						
ამოცანა 7. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის გაუმჯობესება	სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები და მეთოდოლოგია;	√	√	√	√	√	√	√	√

	სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მაჩვენებელი; სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებისა და აქტივობების მაღალი მაჩვენებელი; სტუდენტთა წამახალისებელი ღონისძიებების მრავალფეროვანი და ფინანსური მხარდაჭერის მაჩვენებელი.								
ამოცანა 8. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა	ახალი სასერტიფიკატო პროგრამები		√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 9. სადოქტორო პროგრამის შემუშავება	შემუშავებული სადოქტორო პროგრამის პოლიტიკა და პროცედურები; შემუშავებული სადოქტორო პროგრამა.							√	√

სტრატეგიული მიზანი 2

მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ინსტიტუციის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება

SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მისიის განსახორციელებლად გალობის უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია განავითაროს მართვის ეფექტიანობის ხარისხი და თანამშრომელთა კომპეტენციები, რისთვისაც მოვიზიდავთ როგორც მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე მოვახდენთ არსებული კადრების პროფესიული უნარების განვითარებას.

ეფექტური მმართველობითი სტრუქტურის განვითარება მოითხოვს სტუდენტების უნივერსიტეტის საქმიანობაში ფართო ჩართულობასა და მათთვის ინსტიტუციური ბერკეტების მიცემას.

მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ინსტიტუციის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება მიიღწევა შემდეგი ამოცანების განხორციელებით:

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ამოცანა 1. მონიტორინგის სისტემის შიდა მექანიზმების დანერგვა და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა	მართვის ეფექტიანობის მექანიზმების დამტკიცების აქტი; მონიტორინგის ანგარიშები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 2. მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარება და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა	მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 3. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კომპეტენციების ამაღლებისა და ახალი უნარ-ჩვევების შეძენის მექანიზმების ჩამოყალიბება და გადამზადებაზე ზრუნვა	ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 4. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირება და მათი მხარდაჭერა	მოდიფიცირებული საუნივერსიტეტო რეგულაციები; სტუდენტთა თვითმმართველობის მარეგულირებელი აქტები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 5. პერსონალის მოტივაციის ამაღლება	პერსონალის წახალისების მექანიზმები და განხორციელებული ღონისძიებები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 6. სტუდენტების ჩართულობა ფაკულტეტის მართვასა და საგანმანათლებლო	შესაბამისი გადაწყვეტილებები; შიდა სამართლებრივი აქტები.	√	√	√	√	√	√	√	√

პროგრამების შემუშავება – განვითარების საქმეში									

სტარტეგიული მიზანი 3

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

გალობის უნივერსიტეტისათვის მისიაში განცხადებული საერთაშორისო როლის უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემას. გაზრდის საერთაშორისო პარტნიორების ქსელს და ხელს შეუწყობს ერთობლივი კვლევითი პრაქტიკის დანერგვასა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის განვახორციელებთ შემდეგ ამოცანებს:

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ამოცანა 1. სახელოვნებო სფეროში საერთაშორისო წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო – კვლევით ცენტრებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და არსებული ურთიერთობების განვითარება	საერთაშორისო წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 2. საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება სამეცნიერო კვლევების მიმართულებით; ერთობლივი	ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციები, ფესტივალები, სემინარები; ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციები.	√	√	√	√	√	√	√	√

კვლევითი პრაქტიკის დანერგვა									

ამოცანა 3. საერთაშორისო ფესტივალებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა	ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციები, ფესტივალები, სემინარები; ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერის მაჩვენებელი.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 4. საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა შესაბამის ფონდებთან და დონორებთან თანამშრომლობის გზით	გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.	√	√	√	√	√	√	√	√

სტრატეგიული მიზანი 4

საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება

გალობის უნივერსიტეტისთვის მისიით დასახული საქმიანობის განსახორციელებლად და წინა სამი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

მხოლოდ თანამედროვე და შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობას.

ყოველივე ამის მისაღწევად მოვიაზრებთ ახალი კამპუსის მშენებლობასა და შესაბამისად აღჭურვას.

ახალი კამპუსის ექსპლუატაციაში შესვლამდე კი იჯარით აღებული უძრავი ქონებით შევძლებთ განვავითაროთ საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებასა და მისიით დასახული საქმიანობის განხორციელებას.

ამ მიზნის მისაღწევად განვახორციელებთ შემდეგ ამოცანებს:

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030

ამოცანა 1. სარგებლობაში არსებული (ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის No.21) უძრავი ქონების მოწესრიგება და მატერიალურ – ტექნიკური ბაზის განახლება	განახლებული ინფრასტრუქტურა; ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტები.	√							
ამოცანა 2. პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა	საევაკუაციო გეგმა; ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარი; დასკვნა შენობა – ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ; დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 3. დამატებითი უძრავი ქონების მოძიება სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით	იჯარის ხელშეკრულება; აზომვითი ნახაზი.	√							
ამოცანა 4. მთავრობის განკარგულებით გადმოცემული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და ახალი შენობის აშენება; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციისთვის მომზადება-რემონტი შესაბამისი ინფრასტრუქტურით	საქართველოს მთავრობის განკარგულება; რეაბილიტაციასა და რემონტზე გამოყოფილი ფინანსები; ახალი სარეპეტიციო და საკონცერტო სივრცეები; გარემონტებული ახალი უძრავი ქონება; გაუმჯობესებული ადაპტირებული გარემო.	√	√						
ამოცანა 5. საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება	გაუმჯობესებული საბიბლიოთეკო სერვისები; ჩატარებული ტრენინგები; სერტიფიცირებული საბიბლიოთეკო პერსონალი; საერთაშორისო ელექტრონული	√	√	√	√	√	√	√	√

	საბიბლიოთეკო-სამეცნიერო ბაზების შესყიდვის ხელშეკრულება; საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო-სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა.								
ამოცანა 6. საბიბლიოთეკო სივრცეების მოწყობა და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა ახალ კამპუსში	გაუმჯობესებული საბიბლიოთეკო სივრცეები; საბიბლიოთეკო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები.		√	√	√	√	√	√	√

სტრატეგიული მიზანი 5

საზოგადოებასთან კავშირის განვითარება და ქართული ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების სოციალიზაცია

UNESCO-ს მიერ 2001 წელს ქართული მრავალხმიანობა, რომლის დაცვას, განვითარებასა და საერთაშორისო ასპარეზზე მის პოპულარიზაციას მისიით ისახავს გალობის უნივერსიტეტი, აღიარებულ იქნა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი.

ქართული ტრადიციული სამუსიკო ხელოვნება ნაკლებად კომერციული სფეროა, აქედან გამომდინარე გალობის უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია სამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების კულტურული თვითმყოფადობისათვის აუცილებელი სფეროს სუბსიდირება.

მეორე მხრივ გალობის უნივერსიტეტი, თავისი „მესამე მისიის“ განაცხადით, იღებს ვალდებულებას დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ფართო საზოგადოებაში გავრცელების სახით პოზიტიური გავლენა იქონიოს საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე.

ამ მიზნის მისაღწევად განვახორციელებთ შემდეგ ამოცანებს:

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ამოცანა 1. სამთავრობო ორგანიზაციებთან	საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება	√	√	√	√	√	√	√	√

მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება	ინსტიტუციაში თანადამფუძნებლად შემოსვლის შესახებ; სამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.								
ამოცანა 2. არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის შემოქმედებით კოლექტივებთან, პარტნიორული ურთიერთობების განვითარება	არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 3. დაგროვილი ცოდნის გავრცელება და საზოგადოების კულტურულ განვითარებაში წვლილის შეტანა	ჩატარებული წარმატებული ღონისძიებები; განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები.	√	√	√	√	√	√	√	√
ამოცანა 4. საზოგადოებაში უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობის ამაღლება და შენარჩუნება	ჩატარებული სარეკლამო ღონისძიებები.	√	√	√	√	√	√	√	√

სტრატეგიული გეგმის მოსალოდნელი საკვანძო შედეგები

1. გალობის უნივერსიტეტი არის ავტორიზებული ინსტიტუცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით;
2. გალობის უნივერსიტეტი ახორციელებს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე;
3. გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას;
4. გალობის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებთან/კვლევით ცენტრებთან, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ კვლევებს. არსებული აკადემიური

პერსონალისა და სტუდენტების 10%-ზე მეტს მონაწილეობა აქვს მიღებული გაცვლით პროგრამებში;

5. აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაზრდილია 20%-ით და მათი სულ მცირე 80% აფილირებულია გალობის უნივერსიტეტთან;
6. ახალი კამპუსის ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს;
7. გალობის უნივერსიტეტი საქმიანობას აგრძელებს როგორც სახელმწიფოს მიერ დაარსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული სტრატეგიული მიზნების დასაფინანსებლად გალობის უნივერსიტეტი 2023 წლის 13 თებერვლიდან – 2030 წლის 13 თებერვლამდე გამოყოფს შემდეგ ფინანსურ რესურსებს:

სტრატეგიული მიზნები	ბიუჯეტი
ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის განვითარება.	მუხლი 2.1 მუხლი 2.2 მუხლი 3,1
მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ინსტიტუციის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება.	მუხლი 2.2 მუხლი 3.1
საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.	მუხლი 2.1 მუხლი 2.2
საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება.	მუხლი 2.2 მუხლი 3.1
საზოგადოებასთან კავშირის განვითარება და ქართული ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების სოციალიზაცია.	მუხლი 2,2 მუხლი 3,1
სულ 2023 წლის 13 თებერვლიდან – 2030 წლის 13 თებერვლამდე დაიხარჯება	